საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №23
2024 წლის 27 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის სექტორში განსახორციელებელი გარდამავალი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 ნოემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის სექტორში განსახორციელებელი გარდამავალი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 ნოემბრის №58 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 20.11.2020, სარეგისტრაციო კოდი: 300300000.16.009.016409) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების

ა) 7^2 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-8 მუხლის

ბ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. 2024 წლის პირველ ივლისს ელექტროენერგიით ვაჭრობის უზრუნველყოფა“;

ბ.ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზარზე ელექტრონერგიით ვაჭრობა ხორციელდება 2024 წლის პირველ ივლისს, დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების შესაბამისად.“;

ბ.გ.) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.დ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ელექტრონერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობის უზრუნველყოფისთვის, ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს დღით ადრე და დღიური ბაზრების წესებითა და ამ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ღონისძიების, მათ შორის, გარანტიასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**